საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 16/00 „ 13 " ივნისი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

„13 "ივნისი" 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს პარლამენტში 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

პერიოდი: 01/01/2010-01/01/2011

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 3
1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	გვ. 3
2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარება	გვ.8
3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა	გვ. 9
დასკვნა	გვ. 14
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 15
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 15
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 14 თებერვლის №6/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს პარლამეტი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 8.

აუდიტის ჯგუფი - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ალექსანდრე არაყიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი); მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე; აუდიტორ-ასისტენტი მანანა ღვინაძე.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 14/02/2011 – 10/04/2011 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები - პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი -პარლამენტის აპარატი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე -პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭო -აუდიტორული საბჭო

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა - ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო - ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები -ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) - გაეროს განვითარების პროგრამა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება -ხელშეკრულება

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

მნიშვნელოვანი დარღვევა ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

III. ძირითადი ტექსტი

1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

საქართველოს პარლამენტს და მასთან არსებულ ორგანიზაციებს,[1] 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დაუმტკიცდა 37 448.2 ათასი ლარის ოდენობით[2]. აუდიტის

[1] ორგანიზაციული კოდი- 01 00

პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ 37 526.5 ათასი ლარი შეადგინა.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, წლის განმავლობაში, 4 შემთხვევაში გამოყოფილი იქნა 83.0 ათასი ლარი. აქედან ფონდში დაბრუნებულია 4.7 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი თანხები გახარჯულია მიზნობრივად.

წლის განმავლობაში პარლამენტის თხოვნით, 11-ჯერ არის განხორციელებული ცვლილება ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ასიგნებების კვარტალურ განწერაში და მუხლების ასიგნებებს შორის.

პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 31-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილი მთლიანი ასიგნებებიდან (37 526.5 ათასი ლარი):

- პარლამენტის აპარატის[3] დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 30 979.0 ათასი ლარი;
- აუდიტორულ საბჭოს[4] დაზუსტებული გეგმით გამოეყო 324.0 ათასი ლარი;
- ეროვნული ბიბლიოთეკის[5] მიერ განხორციელებულია 5 509.0 ათასი ლარის განკარგვა;
- ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს[6] დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 400.0 ათასი ლარი;
- გაეროს განვითარების პროგრამას[7] ასიგნება დაუზუსტდა 314.5 ათასი ლარის ოდენობით.

პარლამენტის მიერ 2010 წელს გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36 318.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 36 890.7 ათასი ლარი.

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მუხლებში, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, პარლამენტის მიერ ხარჯების გაწევის შესახებ იხილეთ ცხრილი (ლარი):

---

[2] საქართველოს კანონი (2010 წლის 19 ნოემბერი №3831) „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"

[3] ორგანიზაციული კოდი-01 01

[4] ორგანიზაციული კოდი-01 02; საკასო ხარჯი 283.4 ათასი ლარი; ფაქტობრივი ხარჯი 289.2 ათასი ლარი

[5] ორგანიზაციული კოდი-01 03; საკასო ხარჯი 5 498.8 ათასი ლარი; ფაქტობრივი ხარჯი 5 435.6 ათასი ლარი

[6] ორგანიზაციული კოდი-01 04; საკასო ხარჯი 391.9 ათასი ლარი; ფაქტობრივი ხარჯი 400.9 ათასი ლარი

[7] ორგანიზაციული კოდი-01 05; გაწეულია 314.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ფაქტობრივი ხარჯი არ არის გაწეული

კლასიფიკაცია	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა(-) დაზუსტებულ გეგმასთან	ფაქტობრივი ხარჯი	ფაქტ.ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა(-) დაზუსტებულ გეგმასთან	ფაქტ.ხარჯის მეტობა(+)/ნაკლებობა საკასო ხარჯთან
სულ	37526452	36318299	-1208153	36890662	-635790	-572363
1. ხარჯები	35235924	34840333.62	-395590.38	36890662.00	1654738.00	2050328.38
შრომის ანაზღაურება	23770400	23723393.3	-47006.67	23723043	-47357	-350.33
თანამდებობრივი სარგო		14394475.20		14394475.00		-0.20
პრემია		6426638.34		6426288.00		-350.34
დანამატი		2650734.73		2650735		0.27
კომპენსაცია		251545.06		251545		-0.06
საქონელი და მომსახურება	10488524	10242732.9	-245791.1	10337280	-151244	94547.08
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		1815769.37		1815769		-0.37
მივლინებები		1849423.73		1754638		-94785.73
ოფისის ხარჯები		3452395.70		3696010		243614.30
წარმომადგენლობითი ხარჯები		1468498.4		1424652		-43846.40
სამედიცინო ხარჯები		18243.28		18243		-0.28
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები		146256.9		144637		-1619.90
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		1223834.26		1133965		-89869.26
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		268311.28		349366		81054.72
ძირ. კაპიტ. მოხმარება				2261505	2261505	2261505
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს (მიმდინარე)	42800	40467.56	-2332.44	40468	-2332	0.44
სოციალური უზრუნველყოფა (დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური მომსახურება ფულადი ფორმით	346000	330981.47	-15018.53	330981	-15019	-0.47
სხვა ხარჯები	588200	502758.34	-85441.66	197385	-390815	-305373.3
სხვადასხვა ხარჯები მიმდინარე		388043.66		197385		-190658.66
სხვადასხვა ხარჯები კაპიტ-რი		114714.68				-114714.68
2.არაფინანსური აქტივების ზრდა	2289300	1476739	-812561		-2289300	-1476739
3.ვალდებულებების კლება	1228	1228			-1228	-1228

საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა - 572.4 ათასი ლარი, გამოწვეულია: წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის, შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის, მიმდინარე წელს გაწევით[8]; ძირითად აქტივებზე ფიზიკური და მორალური ცვეთის დარიცხვით; საწყობში წლის დასაწყისში არსებული ნაშთების შემცირებით[9]; არაფინანსური აქტივების შეძენით; ვალდებულებების კლებით; საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სამივლინებო თანხების გახარჯვით 2011 წელს განსახორციელებელ მივლინებებზე; მიმწოდებელ ორგანიზაციებზე თანხების ავანსად გადარიცხვით[10]; ძირითადი აქტივების ჩამოწერით და სხვა.

პარლამენტის აპარატს დაზუსტებული გეგმით განესაზღვრა 31 293.5 ათასი ლარის ასიგნებები (აპარატის ბალანსში მონაწილეობს გაეროს განვითარების პროგრამის შესრულების მაჩვენებლებიც). გადახდა (საკასო ხარჯი) 30 144.2 ათასი ლარის ტოლია, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი გაწეული იქნა 30 765.00 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 620.8 ათასი ლარს. კონკრეტულ მუხლებში სხვაობის გამომწვევი მიზეზებია:

„პრემია“ - ზედმეტად იყო გადახდილი[11] 2010 წლის დეკემბრის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი, რაც აღმოფხვრილი იქნა 2011 წლის იანვარში;

„მივლინებები“ - ფაქტობრივი ხარჯი საკასო ხარჯზე ნაკლებია 94.8 ათას ლარით. გამომწვევი ფაქტორებია:

ა) საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, სალაროში ნაღდი თანხის გამოტანა მივლინების საჭიროებისთვის, რაც აისახა მუხლის საკასო ხარჯში. ამასთან ეს თანხები წლის ბოლოსთვის სალაროდან არ გახარჯულა და ირიცხებოდა ნაშთად[12].
ბ) საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, სამივლინებო თანხების გახარჯვით (საკასო ხარჯის გაწევით)[13].

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის განმავლობაში, პარლამენტის აპარატის აისგნებებიდან, მივლინების ხარჯების გაწევისას, ადგილი ჰქონდა, მივლინებისთვის გაცემული საავანსო თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების კანონმდებლობით დადგენილ

---

[8] წინა წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დაფარვა და ჩამოწერა ხარჯში

[9] ხარჯებში ჩამოწერით, რასაც თან ახლდა მიმდინარე წელს შეძენილი მარაგებიდან ნაწილის გახარჯვა

[10] შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯების ნაწილი 2011 წლის დასაწყისში გაიწია, ხოლო ნაწილი კვლავ დებიტორულ დავალიანებად აღირიცხება

[11] სულ 350 ლარი

[12] წლის ბოლოს სალაროს ნაშთმა შეადგინა 35.7 ათასი ლარი, რაც შედგება სხადასხვა მივლინებებისათვის (2010-2011 წლების) გამოტანილი თანხებისგან

[13] 2011 წელს განსახორციელებელი მივლინებისათვის სასტუმროს ღირებულების წინასწარ გადახდა (48.8 ათასი ლარი) ასევე მივლინებულ მოსამსახურეებზე ავანსად მივლინების თანხების გაცემით და სხვა. შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტები წარმოდგენილია 2011 წლის დასაწყისში.

ვადებში წარმოუდგენლობის ფაქტებს. ასევე საავანსო ანგარიშის დროულად წარმოდგენის შემთხვევაში, მოსამსახურეთა მიერ მათთვის დაფიქსირებული დავალიანების თანხების დაგვიანებით ანაზღაურების ფაქტებს. ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ახალი მივლინებისათვის საავანსო თანხების გაცემას[14].

„ოფისის ხარჯები"-ფაქტობრივი ხარჯები საკასო ხარჯებზე მეტია 290.8 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია საწყობში წლის დასაწყისში არსებული ნაშთების შემცირებით[15];

„წარმომადგენლობითი ხარჯები" - ფაქტობრივი ხარჯი საკასო ხარჯზე ნაკლებია 43.8 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია მიმწოდებელ ორგანიზაციებზე თანხების ავანსად გადარიცხვით, რომელთა შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯები 2011 წლის დასაწყისში გაიწია;

„რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯები"- 1.6 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის ნაკლებობით გაწევა გამოწვეულია, ამ ღირებულების სპეც.ტანსაცმლის საწყობიდან გაუხარჯაობით;

„ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები" - ფაქტობრივი ხარჯის ნაკლებობა საკასო ხარჯზე 84.3 ათასი ლარით, გამოწვეულია საწყობში არსებული სასაქონლო მარაგების ნაშთის ზრდით;

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" - ფაქტობრივი ხარჯი მეტია საკასო ხარჯზე 81.1 ათასი ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის საანგარიშო წელს გაწევით[16] და სხვა მცირე ფაქტორებით;

„ძირითადი კაპიტალის მოხმარება" - გაწეულია ფაქტობრივი ხარჯი - 2114.1 ათასი ლარის ოდენობით;

„სხვა ხარჯები" – გაწეულია 314.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი[17], რისი შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯიც არ გაწეულა და დაფიქსირდა დებიტორულ დავალიანებად (ვრცლად იხილეთ ქვემოთ), ასევე ხარჯებში ჩამოწერილია 9.3 ათასი ლარის მარაგები;

„არაფინანსური აქტივების ზრდა" - გაწეულია მხოლოდ საკასო ხარჯი -1333.1 ათასი ლარის ოდენობით;

„ვალდებულებების კლება" - გაწეულია მხოლოდ საკასო ხარჯი -1.2 ათასი ლარი

---

[14] არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" მე-18 და მე-19 პუნქტების მოთხოვნები

[15] რასაც თან ახლდა მიმდინარე წელს შეძენილი მარაგებიდან ნაწილის გახარჯვა

[16] 83.4 ათასი ლარი

[17] გაეროს განვითარების პროგრამა

რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტის აპარატს მიეცეს რეკომენდაცია, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებისას, დაიცვას მოსამსახურეთა მივლინების ანაზღაურების განმსაზღვრელი მოქმედი კანონმდებლობის ნორმები. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის გარეთ მივლინებიდან დაბრუნებისას მოსამსახურე დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელ საბუთებს ან წარმოადგენს არასრულად, მოსთხოვოს მას ავანსის სახით გაცემულ თანხასა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შორის არსებული სხვაობა. არ გასცეს ანგარიშვალდებულ პირებზე მორიგი მივლინებისათვის საავანსო თანხები.

2. **აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა**

პარლამენტის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია სააგენტოში წარდგენილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (კორექტირებული გეგმების) შესაბამისად. წლის განმავლობაში თავდაპირველად წარდგენილ შესყიდვების გეგმაში კორექტირება განხორციელებულია 16-ჯერ.

წლის განმავლობაში ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით დადებულია 429 ხელშეკრულება, ღირებულებით 1 614 337.17 ლარი (მიწოდება 1 599 100.25 ლარი).

სატენდერო პროცედურების შედეგად ჩატარდა 11 ტენდერი, ხოლო გამარჯვებულებთან გაფორმებულია 15 ხელშეკრულება, ღირებულებით 2 489 699.34 ლარი (მიწოდება 2 429 381.81 ლარი).

ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის, 3 მიმწოდებლისათვის, დაკისრებულია საჯარიმო სანქცია 5 207.55 ლარის ოდენობით, რაც მიმართულია ბიუჯეტში.

აპარატის მიერ სააგენტოში წარდგენილია ანგარიშები: დანართი N4 (კვარტალური ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების და ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე) თანდართული ხელშეკრულებების ასლებით და ოპერატიული ანგარიშები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2010 წლის 28 აგვისტოს, პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიამ, გაზეთ ,,24 საათში", გამოაცხადა ტენდერი - სხვადასხვა სახის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. განცხადებაში არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს სახეობა ლოტი N1-ში. აღნიშნულით დარღვეულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის

(2010 წლის 1 აგვისტომდე მდგომარეობით) მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნა[18]. აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით (სავარაუდო ღირებულება 25.0 ათასი ლარი).

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას დაცული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა

პარლამენტის ნაერთი ბალანსი შედგენილია მისი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსების მონაცემთა გათვალისწინებით. პარლამენტის მიერ ყოველკვარტალური ნაერთი ბალანსები და წლიური ბალანსი ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

პარლამენტის ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა /ათას ლარში/:

დავალიანების დასახელება	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ცვლილება საანგარიშო პერიოდში	
			ზრდა	შემცირება
დებიტორული დავალიანება სულ	**897.5**	**611.3**	**519.6**	**-805.8**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	80.4	5.1		-75.3
მოთხოვნები მივლინებით	11.8	65.1	53.3	
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	0	12.8	12.8	
სხვა საგადასახადო აქტივი	4.3	4.7	0.4	
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	0	453.1	453.1	
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანება	801	70.5		-730.5
კრედიტორული დავალიანება სულ	**4202.3**	**4153.1**	**0**	**-49.2**
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2831.1	2830		-1.1

[18]რომლის თანახმად "ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შესასყიდი მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ხარისხი, მიწოდების ადგილი და ფორმა, ან გასაწევი მომსახურების სახეობა და შესრულების ან გაწევის ადგილი და ფორმა".

ვალდებულებები მივლინებით	2	2	0	0
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	761.1	717.3		-43.8
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	44.5	44.5	0	0
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	338.8	338.8	0	0
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	23.4	23.4	0	0
გადასახდელი ხელფასი შტატით მომუშავეთათვის	196.1	191.8		-4.3
გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები	5.3	5.3	0	0

დებიტორული დავალიანების ზრდა (519.6 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

- საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, სამივლინებო თანხების გახარჯვით[19], რომელთა შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტები წარმოდგენილია 2011 წლის დასაწყისში;

- საშემოსავლო გადასახადის ზედმეტად გადახდით[20] 2010 წლის დეკემბრის კუთვნილ საშემოსავლო გადასახადთან შედარებით, რაც აღმოფხვრილი იქნა 2011 წლის იანვარში;

-ხელშეკრულებების პირობების დაცვით მიმწოდებლებისათვის წინასწარ თანხების გადარიცხვით, რომელთა ნაწილის შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯები გაწეულია 2011 წლის პირველ კვარტალში;

- 314.7 ათასი ლარის საკასო ხარჯის გაწევით. ფაქტობრივი ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაცია პარლმენტს არ გააჩნია. პარლამენტში არ წარდგენილა პროგრამის ფინანსური ანგარიშგება - შესაბამისად დაფიქსირებულია 314 714 ლარის დებიტორული დავალიანება;

ამ თანხით დებიტორული დავალიანება ირიცხება გაეროს განვითარების პროგრამაზე[21], რომლის 2010 წლის ასიგნებამ შეადგინა 314 500 ლარი. ვალდებულებამ და გადახდამ (საკასო ხარჯმა) შეადგინა 314 714 ლარი[22] - დაზუსტებულ გეგმაზე 214 ლარით მეტი. აღსანიშნავია, რომ რეალურად ვალდებულება 200.0 ათას ლარზე წარდგენილია პარლამენტის მიერ პროგრამის ასიგნებიდან[23], ხოლო დანარჩენი თანხის საკასო ხარჯი -

[19]2011 წელს განსახორციელებელი მივლინებისათვის სასტუმროს ღირებულების წინასწარ გადახდა და სხვა გდახდები,

[20] სულ 350 ლარი

[21]უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადგომაზე გათვალისწინებული ასიგნებები (0105)-ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) –(010502)

[22] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ გაცემული „2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 12 თვის ხარჯების შესრულების" ფორმა E14-ის მიხედვით

[23] ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) –(010502); საკასო ხარჯების გაწევის საფუძვლად წარმოდგენილია 2009 წლის 7-11 დეკემბერს ხელმოწერილი გაეროს განვითარების პროგრამა (პროგრამის დაწყების თარიღი 1.01.2010-დასრულების დარიღი-31.12.2011).

114.7 ათასი ლარი, გაწეულია ხაზინის მიერ პროგრამის დაფინანსებიდან. პარლამენტის მიერ ვალდებულება ამ თანხაზე წარდგენილი არ ყოფილა.

დებიტორული დავალიანების კლება (805.8 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

- ანგარიშვალდებული პირებზე რიცხული მატ.ფასეულობების გახარჯვით და მათზე რიცხული დავალიანების ჩამოწერით;

- 2009 წელში საავანსო თანხების გადარიცხვის შედეგად, 6 ორგანიზაციაზე რიცხული დებიტორული დავალიანება 730.5 ათასი ლარი, რაც გადარიცხული იყო 2009 წლის დეკემბერში მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად[24] - აღმოფხვრილი იქნა 2010 წლის განმავლობაში ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

კრედიტორული დავალიანებების კლება (49.2 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია:

- წინა წელს გაწეული ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად საანგარიშო წელს საკასო ხარჯის გაწევით[25];

- სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს ფინანსური უზრუნველყოფით, პარლამენტის დეპუტატებზე, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე რიცხული ძველი დავალიანების თანხების დაფარვით.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, პარლამენტის არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთი შეადგენდა 100 864.9 ათას ლარს[26]. 2010 წლის განმავლობაში შესყიდვით მიღებამ შეადგინა 2 010.0 ათასი ლარი[27], იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა 55.8 ათასი ლარი[28], სხვა შემოსავლებმა - 507.3 ათასი ლარი[29]; ამავე პერიოდში გაყიდვით გასულია 153.6 ათასი ლარის აქტივები[30], სხვა ეკონომიკური ნაკადებით გასვლამ შეადგინა 141.1 ათასი ლარი[31], „ძირითადი კაპიტალის მოხმარების" მუხლში ფაქტობრივი ხარჯის წარმოშობით 2 261.5 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია ძირითად აქტივებზე ფიზიკური და

---

[24] 475,335 ლარი გადაირიცხა შ.პ.ს."ეკოტერმში" ჩილერების და თბომცველების შესყიდვაზე თანმდევი მომსახურებით, შპს „უნივერსალური სამშენებლო ჯგუფი" - 63,162 ლარი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე; შპს „ალიანსი" - 81,066 ლარი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე; შპს „ალგისტუდიო" -15,500 ლარი საარქივო მასალების შესანახი სტელაჟების შესყიდვაზე, შპს „ბასტი-ბუბუ" - 12,234 ლარი - გასართობი მომსახურების შესყიდვაზე და სხვა.

[25] წლის დასაწყისში რიცხული კრ.დავალიანება 1000 ლარის ოდენობით (შპს „ედუსი") წლის განმავლობაში დაფარული იქნა.

[26] ამ ნაშთიდან 97 031.2 ათასი ლარის ღირებულებიდ აქტივები აპარატის ბალანსზეა

[27] შესყიდვით მიღებული 2 010.0 ათასი ლარიდან აპარატის მიერ მიღებულია 1 867.0 ათასი ლარის ძირითადი აქტივები

[28] აპარატის მიერ მიღებულია 55.8 ათასი ლარის ოდენობით აქტივები

[29] წარმოადგენს აპარატის მიერ მიღებას

[30] წარმოადგენს აპარატის მიერ გაყიდვას

მორალური ცვეთის დარიცხვით. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთმა შეადგენდა 100 881.9 ათასი ლარი[32].

პარლამენტის წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 98 561.1 ათას ლარს, წლის ბოლოსთვის კი 98 533.1 ათას ლარს. წმინდა ღირებულების ზრდა (37 030.2 ათასი ლარი) განაპირობა: ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ, შემოსავლებმა, ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ და სხვა ეკონომიკურმა ნაკადებმა. შემცირების მიმართულებით (37 058.2 ათასი ლარი) იმოქმედა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა მომუშავეთა ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების ხარჯების გაწევა, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სხვა ეკონომიკურმა ნაკადებმა და სხვა ფაქტორებმა.

პარლამენტის შტატით მომუშავეთა საშუალო რაოდენობამ წლის განმავლობაში შეადგინა 1261 ერთეული (გეგმით -1414); შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობამ კი შეადგინა 176 ერთეული (გეგმით- 176).

პარლამენტის აპარატის საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

- 1110 – „ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში"-

წლის განმავლობაში ანგარიშზე აისახებოდა აპარატის სალაროს ბრუნვები და შესაბამისი ნაშთები. სალაროში წარმოებს მივლინებებისათვის ხაზინიდან გამოტანილი თანხების შემოსავალი და მათი გახარჯვა. წლის განმავლობაში სალაროში ყოველდღიურად აღინიშნებოდა საშუალოდ 20.0 ათასიდან 155.0 ათას ლარამდე ნაშთები, რაც, როგორც განმარტეს გამოწვეულია შემდეგით:

- მივლინების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სამივლინებო თანხები სალაროში გამოიტანება მივლინების განხორციელების წინა დღეს, ხოლო მათი გაცემა ხდება გამოტანიდან მეორე დღეს, რაც იწვევს სალაროში გარდამავალი ნაშთის არსებობას;

-სალაროდან გაიცემა, პარტნიორი ავიაკომპანიებისთვის, ავიაბილეთების ღირებულების თანხები, რომელთა მობილიზება სალაროში ხდება ავიაკომპანიებზე გაცემის წინა დღეს, რაც ასევე დღის ბოლოს ირიცხება სალაროს ნაშთად;

- აღნიშნულს განაპირობებს ისიც, რომ კონკრეტულ მივლინებაზე ავანსად გაცემული თანხის გარდა, გარკვეულ თანამდებობის პირებს (შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად, ხარჯები უნაზღაურდებათ ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტების მიხედვით), საავანსო ანგარიშის წარმოდგენის დროს ეკუთვნით თანხების დამატება და შესაძლო ასანაზღაურებელი თანხა აღირიცხება სალაროში ნაშთად.

---

[31] წარმოადგენს აპარატის ნაკადებს

[32] ამ ნაშთიდან 97 052.5 ათასი ლარის აქტივები აპარატის ბალანსზეა

სალაროში 2010 წლის განმავლობაში 5-ჯერ არის ჩატარებული სალაროს ინვენტარიზაცია, რასაც სალაროში არსებული ნაღდი ფულის ოდენობასა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის განსხვავება არ გამოუვლენია. წარმოდგნილია შესაბამისი აქტები.

- 2010 წლის ბოლოსათვის 1410, 1433 და 1446 საბალანსო ანგარიშებზე რიცხულმა იმ მოთხოვნებმა, რომლებიც წარმოშობილია 1996 წლის შემდგომ პერიოდში შეადგინა 79.8 ათასი ლარი[33].

- 3210, 3222, 3224, 3231, 3234, 3238 და 3246 საბალანსო ანგარიშებზე 2010 წლის ბოლოსათვის რიცხულმა იმ ვალდებულებებემა, რომლებიც წარმოშობილია 1996 წლის შემდგომ პერიოდში შეადგინა 3 846.0 ათასი ლარი[34].

პარლამენტის სასახლეში არსებულ მატ.ფასეულობათა და პარლამენტის აპარატის ბალანსზე რიცხული მოთხოვნების სრული ინვენტარიზაციის[35] და პარლამენტის სასახლეში ინვენტარიზაციის ჩატარების და შემდგომი პროცედურების[36] შედეგად გამოვლინდა პარლამენტისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ისეთი აქტივები

---

[33] – 1410 - „ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები"- 1996-2000 წლიდან მომდინარე 7 თანამშრომლის მიმართ 5.1 ათასი ლარის ოდენობით რიცხული დებიტორული დავალიანება;
- 1433 - „სხვა საგადასახადო აქტივი" – 2005 წლიდან მომდინარეობს 4.3 ათასი ლარის ოდენობით ნაშთი, რომელიც წარმოშობილია საშემოსავლო გადასახადის ზედმეტად გადარიცხვის გამო;
- 1446 - „სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები" – 70.4 ათასი ლარის ოდენობით დებიტორული დავალიანება ირიცხება 1996-2005 წლებიდან 11 ორგანიზაციაზე. აქედან 1996-2000 წწ - 56.2 ათასი ლარი; 2002 წ.-2.0 ათასი ლარი; 2003 წ- 303.81 ლარი; 2004 წ-18 ლარი; 2005 წ-12.0 ათასი ლარი.

[34] - 3210 –„ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან"-2010 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 2 777 293 ლარის კრედიტორული დავალიანებები, წარმოშობილია 1997 -2009 წლებში და მოდის 74 ორგანიზაციაზე და 2 ფიზიკურ პირზე.დაიფარა 1.0 ათასი ლარი და წლის ბოლოს ვალდებულებბმა შეადგინა 2 776 294 ლარი;
- 3222 - „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი" –წლის დასაწყისში ნაშთად ირიცხებოდა 2005 წლამდე წარმოშობილი 5,7 ათასი ლარი და 2008 წელს წარმოშობილი 0.4 ათასი ლარი - სულ ვალდებულება საშემოსავლო გადასახადის სახით 6.1 ათასი ლარის ოდენობით. რაც წლის განმავლობაშიც არ დაფარულა.
- 3224 -„ბიუჯეტის წინაშე სხა ვალდებულებები"- წლის დასაწყისში და წლის განმავლობაში ნაშთი შეადგენდა 319.0 ათას ლარს, რაც წარმოადგენს 1998 და 2003 წლებში წარმოშობილ დავალიანებას სოციალური გადასახადის სახით.
- 3231-„გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის"- წლის დასაწყისში და წლის განმავლობაში ნაშთი შეადგენდა 1.9 ათას ლარს, რაც წარმოადგენს ორი თანამშრომლისათვის გადასახდელ ხელფასს.
- 3234-„ვალდებულებები მივლინებით"-ნაშთი წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს ირიცხებოდა 2.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც მოდის 2000 წლიდან და არ დაფარულა.
- 3238 - „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ"-წლის განმავლობაში ნაშთად ირიცხებოდა 23.4 ათასი ლარი, რაც წარმოშობილია 1996-2000 წლებში.
- 3246 – „სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები" – წლის დასაწყისში ერიცხებოდათ 761.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: 469.0 ათასი ლარი მოდიოდა 1999 წლიდან, 291.9 ათასი ლარი 2003 წლიდან, ხოლო 2 ათასი ლარი 2009 წლიდან. წლის განმავლობაში განხორციელებული დაფარვების შემდეგ (სააღსრულებო ფურცლებით) წლის ბოლოს ნაშთი შეადგენს 717.3 ათას ლარს.

[35] პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 16 ოქტომბრის N202/3 ბრძანების საფუძველზე, 2009 წლის 25 დეკემბრის სააღრიცხვო მონაცემების მდგომარეობით ჩატარდა და დასრულდა 2010 წლის 1 მარტს. წარმოდგენილია 2010 წლის 1 მარტის ინვენტარიზაციის შედეგების აქტი N4

[36] პარლამენტის თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N161/3 ბრძანების (საქართველოს პარლამენტის სასახლეში ინვენტარიზაციის ჩატარების და შემდგომი პროცედურების შესახებ) საფუძველზე, 2010 წლის 25 დეკემბრის სააღრიცხვო მონაცემების მდგომარეობით ჩატარდა და მიმდინარეობს ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებები. წარმოდგენილია 2011 წლის 21 თებერვლის ინვენტარიზაციის შედეგების აქტი N1

რაოდენობრივად[37], რომლებიც იმყოფებიან ექსპლუატაციაში. ამ აქტივების გადაცემის შემდეგ მოხდა მათი აღრიცხვა საცნობარო მუხლში რაოდენობრივად (იმის გამო, რომ ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი მათი ღირებულება - გადაცემის დოკუმენტებში არ იყო მითითებული ღირებულებები). ასევე გამოვლინდა 6 ერთეული მობილური ტელეფონის დანაკლისი, საიდანაც 4 ერთეული, ანგარიშვალდებული პირების მიერ დაბრუნებული იქნა 2010 წლის განმავლობაში, ხოლო 2 მობილური ტელეფონის დაბრუნება ვერ მოხერხდა (საბალანსო ღირებულებები შესაბამისად 1354 ლარი და 706.85 ლარი) და დანაკლისი კვლავ დაფიქსირდა 2011 წელს დასრულებული ინვენტარიზაციის შედეგებში.

რეკომენდაცია:

- პარლამენტის მიერ გატარდეს ღონისძიებები, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსური ანგარიშგების მიღების თვალსაზრისით;
- მაქსიმალურად შემცირდეს სალაროში თანხების აკუმულირება და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სალაროში არსებული ნაშთები;
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საცნობარო მუხლში რაოდენობრივად აღრიცხული, ექსპლუატაციაში მყოფი აქტივების ღირებულებების დადგენის მიზნით, რის შემდგომაც აქტივები აისახოს შესაბამისი საბალანსო ანგარიშების ნაშთებში;
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები დანაკლისის სახით რიცხული 2 ერთეული მობილური ტელეფონის მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისგან ანაზღაურების მიმართულებით;
- გატარდეს ღონისძიებები წინა წლებში წარმოშობილი და 2010 წლის ბოლოსთვისაც ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაზუსტებისა და ამ დავალიანებათა აღმოფხვრის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილი წლიური ბალანსი სამართლიანად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, იმ დაშვებით, რომ ბალანსში დაფიქსირებული საბალანსო ანგარიშების წლის დასაწყისის ნაშთები რეალურია.

---

[37] მაგიდები, სკამები, კარადები, ტუმბოები, კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, სკანერები, ნოუთბუქები, ვიდეომაგნიტოფონები, პიანინო, ფანკოილები, მაცივარი და სხვა

IV აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:	ხელმოწერა/თარიღი
ალექსანდრე არაყიშვილი	13.06.11
მთავარი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
ავთანდილ ვასაძე	13.06.2011 წ.
აუდიტორი-ასისტენტი:	ხელმოწერა/თარიღი
მანანა ღვინაძე	13.06.2011 წ.

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

ფინანსური აუდიტის პერიოდში, პარლამენტში პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

დავით ჯანიაშვილი - საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

იაკობ იოსებაშვილი - საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე

იაკობ ედილაშვილი - საფინანსო უზრუვნელყოფის დეპარტამენტის უფროსი

ჰამლეტ სხულუხია - სამეურნეო დეპარტამენტის უზრუნველყოფის უფროსი

ეთერ დვალიშვილი - მთავარი ბუღალტერი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

იაკობ ედილაშვილი - საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

ეთერ დვალიშვილი - მთავარი ბუღალტერი

ჰამლეტ სხულუხია - სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

ივანე სულხანიშვილი - სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი

აუდიტის პროცესში გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი";

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2008 წლის 20 აგვისტოს N98/31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N914 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის N340 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმების და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

სახელმწოფო შესყიდვების თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის ბრძანება „სახელმწოფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“.